წელიწადი I-ლი

შაბათი 6 ნოემბერი

ფასი 15 მან.

ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.
4 " " " . . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზე № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 10 საათ. საღ. 3ს.

№ 48 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 48

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროვალ-სხირტლაძის

შაბათიდან 6 ნოემბრიდან 1920 წ. იჩვენება საგანგებო ახალი სურათი გადაღებული **იალთაში** ცნობილი ნ. ი. ერმოლევის ფაბრიკის მიერ.
მთავარ როლს შეასრულებს ცნობილი აქტრისა ი. კოვანკო.

დაკარგული ოცნება

დრამა 5 დიდ განყოფილებით.

ანონსი. ამ დღეებში იქნება ნაჩვენები სენსაციური სურათი

თეთრი კბილებიანი მასკა

ცნობილი პირლ-უაიტი.

შმაევსკის თეატრი

სახალხო წარმოდგ. მმართველი წრე

№ 8.

შაბათი 6 ნოემბერი
წარმოდგენილ იქნება

ტრ. რამიშვილი

1.

სამედიცინო დამბაჩა

დრა 4 მოქ

2.

ივ. გომართელი.

იასონის ღინები.

კომ. 2 მოქ.

რეჟისორი ივ. ბარველი.

მონაწილეობენ: აბაკელია პ., აფხაიძე მ., ბარველი ივ., ბარათაშვილი ივ., ბერძენიშვილი შ., ვადაჭკორია ს., ინასარიძე ნ., მდივანი მ, მაღალაშვილი გ. მარგველაშვილი ვ., ძნელაძე დ, ლამბაშიძე შ., ხარაბაძე დ. ადგილების ფასი ჩვეულებრივია ◆ დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე.

შემდეგი წარმოდგენა შაბათს, 10 ნოემბერს მზად დება სილ ქანთურიშვილის „ბ უ რ უ ს ი“.

სახ. წარმ. მმართველი წრის ადმ-ცია.

განცხადება

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ქალაქის საწყობში (ნურია) იყიდება

ყარაჩაის ცხვრის ხორცი 120 მ. გირვანქა.

და დუმა 350 მანეთად გირვანქა.

3—2 სასურსათო გამგეობა.

კვირას 7 ნოემბერს, დღის სრულ 3 საათზე, (კამაროვის ქუჩა 47) დანიშნულია ბათომის

ახალგაზდა მარქს. წევრთა 1, 2, და 3 რაიონ.

საზოგადო კრება.

დღიური წესრიგი: 1. მოხსენება მომენტზე. 2. კომიტეტის მოხსენება. 3. პარტიული მუშაობა. 4. მიმდინარე კითხვები.

ახალგაზდა მარქსისტთა ორგან. კომიტეტი

3—2

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

კვირიდან 7 ნოემბერს ნაჩვენები პირველად ბათომში მხატვრული სურათი აღებული ლ. ნ. ტოლსტოის უკვდავი რომანიდან

ანნა კარენინა

დრამა 5 განყოფილებით. მონაწილეობას იღებს საუკეთესო ანსამბლი.

ანონსი. ამ დღეებში იქნება ნაჩვენები სენსაციური სურათი

თეთრ კბილებიანი მასკა

ცნობილი მის პირლ უაიტი.

ოლღას და შეპელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ

გაიხსნა

ლ ო ტ ო.

საქველმოქმედო მიზნით.

ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის განკარგულებისა

ყველა სათადარიგო გვარდიელები ვალდებულნი არიან ორშაბათს 8 ნოემბერს დილის 8 ს. გამოცხადდენ ბარცხანაში

გვარდიის სადგომ ბინაზე საშეცადინოთ ათი დღის ვადით.
ყველა სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულებები **ვალდებულნი არიან** სათადარიგო გვარდიელები

განთავისუფლონ 8-დგან—18 ნოემბრამდე.

სახალხო გვარდიის ბათომის საოლქო **შტაბი.**

კვირას 7 ნოემბერს დღის 3 საათზე

საკრებულო დარბაზში

დანიშნულია

ბათომის გვარდიის საზოგადო კრება.

დღის წესრიგში: სახალხო გვარდიის ყრილობის შესახებ მოხსენება.
დასწრება ყველა გვარდიელთათვის სავალდებულოა

სახალხო გვარდიის ბათომის **შტაბი.**

გამყრელიძის ცირკი.

შაბათს 6 ნოებერს
გაიმართება თფილისელ კინტოს

პეტრე ლევანსკის

დიდი ბენეფისი.

დღეს ბენეფიციანტი შეასრულებს ახალ რეპერტუარს
ჭიდაობს 3 წყვილი.

1. მურომეცი—უცნობის წინაალმ.
2. ზაგორუიკო—მაკაროვის წინაალმ.
3. მუშა—ერმაკოვის წინაალმ.

ამ დღეებში გაიმართება 3 ფალავანის ბენეფისი.

მოითხოვეთ ყველა მაღაზიებში, კიოსკებში რესტორანებში, კაფე შანტანებში და დამტარებ.
პაპიროსები „გლორია“
ბინიატ-ოღლის ქარხნის ფირმის პატრონისა.
ახლად გამოშვებული საუცხოო გემოსი და არომატის.
ფრანგული სააქციონერო საზოგადოების
„ხმელთა შუა კომერციული ბანკი.“

ბათუმი, 6 ნოემბერი.

ოლქის ზოგიერთ სოფლებში ხმაურობაში არიან ბედის მაძიებელნი და ქვეყნის მოღალატენი.

ის, ვინც უშრომელად, პარაზიტობით ჩვეული იყო განცხრომით ცხოვრებას, დღეს შეეცდება ხელი მოითბოს და სახრავი რამ იშოვოს.

მხარის მტრები ავრცელებენ ხმებს, რომ ართვინი ოსმალოს ჯარმა აიღო და ახალციხის მხარე საქართველოზე მოწყვეტილიაო.

ბათომში ტრიალებენ ბოროტი სახეები და ნერვიულ მდგომარეობის შესაქმნელად დღე და ღამ მუშაობენ.

ოლქში ყველა უკმაყოფილო ყურის სგდებია, ვინაიდან საკმაოდ არის გაწეული პროპაგანდა ასეთ თუ ისეთ ავანტიურის მოსაწყობად.

ყოველ დღე ვიძახით, რომ ბათომი რესპუბლიკის ბოქლომი-გასაღებია, ბათომი საქართველოს ალიაყაფის კარებია და აქ გვჭირია თავის დაზღვევა და აქ გვინდა სიმაგრე, აქ უნდა გადავშალოთ ახლა ყველამ ჩვენი ენერგია და შემძლებლობა, აქ უნდა დავიცვათ თავდადებულ სიმტკიცით საქართველოს მთლიანობა, საქართველოს დამოუკიდებლობა.

გასაფრთხილებლად უკვე ჩამოირეკა, ამიერ-კავკასიის მთებზე შავი ნისლი ჩამოწვა, ქემალ ფაშა სომხეთში შევიდა და იპყრობს მას.

ამ ორი წლის უკან ასეთივე იყო სურათი ამერ-კავკასიაში, სომხეთი მაშინ გადასთელა ოსმალო ფაშამ, გასტეხა წელში ბაქოს ბოლშევიკები და დარუბანდისკენ მიეჩქარებოდა, მაგრამ ახლა ოსმალები კავშირში არიან თვით ამ ბოლშევიკებთან. ეს გარემოება მეტ სიფრთხილეს გვავალებს.

ჯერ ჩვენ არ ვიცით თუ რას გვეტყვიან მტრები ხვალ, მაგრამ, ჩვენი ვალია ყოველივე თადარიგის დღესვე დაჭერა, ძალთა მობილიზაცია და ყველა სადარაჯოებზე მცველების გაძლიერება...

უდიდესი მუშაობა აქაურ ვითარებასთან მიზან-შეწონილათ ჩვენ ბათომსა და მის ოლქში უნდა გავსწიოთ.

ბათომს და მის ოლქს უნდა განშორდენ პროვოკატორი ექსკურსანტები. ბათომის მხარეში უნდა გვქონდეს ჩვენ თავი უმაგრესად დაზღვეული. მომენტი წამობით გართულდება, მოვლენები ერთმანეთს წინ გაუსწრობენ და ჩვენ ვიჩქაროთ აქ საერთო, ძლიერ თანამშრომლობის შესაქმნელად, რათა შეერთებულის ძალით სისტემატიურად ვებრძოლოთ ქვეყნის დამღუპველთა განზრახვებს გარეშე და შინაურ მტრის მოქმედებას.

ყველა სამუშაოდ!

საქართველოს პრესა

სომხეთზე ქემალისტების თავდასხმის შესახებ.

„ერთობა“:

სომხეთი, გარშემო ატეხილი საბედისწერო ბრძოლა ხვალ ჩვენს გარშემო დატრიალდება, იგი გადათელავს ჩვენ სისხლით და ოფლით მორწყულ ველებს, გაანადგურებს და მოსპობს უდიდესი მსხვერპლით მოპოვებულ თავისუფლებას. ეს უნდა შევიგნოთ ყველამ.

საფრთხე კარზეა, მაგრამ იგი შეიძლება აშორებულ იქნეს, თუ მტერი დაინახავს ჩვენს სიმტკიცეს შიგნით და ჩვენს ძალას გარეთ

ბრძნული თქმულებაა ვისაც უნდა ზავი—ემზადოს ომისათვისო. ეს განსაკუთრებით ზედგამოჭრილია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისთვის.

თუ მტერმა ღია კარები იხილა, შიგ შემოიჭრება და დაუნდობლათ გაგვსრესს. მაგრამ თუ კარები მაგრათ ჩავკეტეთ და საიმედო მცველები მივუჩინეთ, იგი უკან დაიხევს.

უხეშ ძალას, რომელიც სამხრეთიდან მოდის, შავ ძალას, რომელიც ოსმალთა სახით გვევლინება, მხოლოდ ძალა შეაჩერებს. სიმართლე მათ არ აქვთ სათნოება მათ არ უწერია, მეგობრობა მათში—არ არსებობს.

იგი ძალადობას ეყრდნობა და შეიძლება შეჩერებულ იქნეს მხოლოდ ძალადობით. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ვისაც უნდა ზავი—ემზადოს ომისთვის.

„საქართველო“:

ყარსი დაეცა! ქემალ ფაშას ჯარებმა ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს საზღვრები გადმოლახეს და სომხეთის უძლიერესი სიმაგრე აიღეს! ქემალ-ფაშას ჯარები ჩვენს საზღვრებს უახლოვდებიან.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მეზობელი სომხეთი ყოველ ღონეს იხმარს რათა ჯეროვანი პასუხი გასცეს გათამამებულ ოსმალო ავანტიურისტის იერიშებს; უბედურების წინ დამდგარი სომხეთის ხალხი ამოსწურავს მთელ თავის ძალებს, მტრის ასალაგმავად. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ჯეროვანად დავაფასოთ შექმნილი მდგომარეობა და საქართველოს ხალხს ნამდვილი მდგომარეობა ვამცნოთ:

ქემალ-ფაშას ჯარები ძლიერი წინსვლით მოდიან და სომხეთზე გამარჯვებული ოსმალო, საქართველოს საზღვრებთან არ გაჩერდება.

საქართველოს წინაშე, ახალი და დიდი განსაცდელი სდგება: ომი ოსმალეთთან!

ახალგაზრდა რესპუბლიკა, უჩვეული არ არის კარზე მომდგარი საფრთხის—თავის დამოუკიდებელი არსებობის ორი წლის განმავლობაში, მან უკვე რამოდენიმე ომი განიცადა და დამარცხებული იგი ბრძოლის ველიდან არ გამოსულა! გამარჯვება თან სდევდა ყოველთვის ჩვენს სახელოვან ლაშქარს და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ომის ბედი არც ეხლა უღალატებს მას.

სომხეთის უბედურება და ჩვენ.

2

უნდა ველოდეთ, რომ ქემალის აგენტები, ქემალის ემისრები შეეცდებიან საქართველოს სამუსლიმანო ჩვენი მოისუროს. ასე ყოფილა, ასე იქნება.

მას შემდეგ კი, რაც მცირე აზიაში ისლამი დაემკვიდრა, ჩვენთვის და სომხეთისათვის მუდმივი საფრთხე გაჩნდა. გრძელდება ეს ამბავი, მეორდება ისტორია და ამ განმეორების საშინელებანი დღეს სომხეთს დააწვა კისერზე. ვერ ვიტყვით, რომ ეს მუდამ ასე იქნება: ისტორიის ჩარხმა ხან უკუღმაც იცის დაბრუნება. სტამბოლიდან გაგდებულს მუსტაფა-ქემალს შესაძლოა ზურგს უკან აედევნოს ძველი ბიზანტიის აჩრდილი: შესაძლოა მას უკან დაჰკრას აღდგენილ საბერძნეთის ჯარმა; მაშინ ის იძულებული იქნება აიბარგოს სომხეთიდან, მით უმეტეს თუ აქ თავი არ დაუდვა სომხეთმა და თავისუფლება იოლად არ დაუთმო.

ჩვენც გვმართებს ფხიზლობა. მეზობლის უბედურებას ჩვენს უბედურებად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი ყურადღება და თანაგრძნობა სამხრეთისკენ უნდა მივმართოთ.

სომხის ერი სისხლისგან იცლება. ის აწარმოებს მამა-პაპათაგან ნაანდერძევ ბრძოლას, მას აღარ ეშინია სიკვდილის.

ის კვირაობით განუწყვეტლივ იბრძვის თავისუფლების, თავისი კერის და კაცობრიობის კულტურის დასაცავად. ის თავგანწირულია და იმედს არ ჰკარგავს! იქნება ეს „მამაცთა“ უჭკუობაც არის, და ამ „უჭკუობას“ ჩვენ ვუგალობთ ჩვენს წმინდა საგალობელს.

ვ. ხე—ლი.

სომხეთის ბედი—უბედო.

> „Безумству храбрых
> Поем мы пѣсни!“

მუსტაფას გამოლაშქრების პირველ დღესვე ჩვენ დაგვაფიქრა ჰაოსის შვილთა, ჩვენ მეზობელ და მოძმე სომეხთა ბედმა და მაშინვე ვსწერდით, რომ ქართლოსის ძეს, სისხლითა და ხორცით მოძმეს სომხის ერისა, ახლავე ჩაფიქრება მართებს, ახლავე თადარიგი გვესაჭიროება, რომ შემოსეულ ურდოების დანთებული ცეცხლი გავაქროთ, ჩვენი სახლი კარიც არ წავაბუგოთ ზედ, თორემ მცირე აზიელ სელჯუკებს გზა არ გავისწყვებიათ, საფრთხე ოლონდაც რომ მოულოდნელი არის მეთქი.

ასრულდა ჩვენი შიში, სომხის ერს ყარსი წაართვა ოსმალომ და დღეს თუ ხვალ შესაძლოა საქართველოს საზღვრებს დაემუქროს.

დეპეშების მოკლე ცნობები გადმოგვცემენ: ოთხ დღეს ცხარე ბრძოლა ჰქონდათ სომხის ჯარებს და ბრძოლითვე იხევენ გუმბრისაკენო. ადვილად ითქმის „ოთხი დღის ბრძოლა!“

ჰაი-ჯოუს აღებისას თითონ მარშალი ოიამა ხელმძღვანელობდა იაპონელთა თავგადადებულ პოლკებს. ზამთრის ღამით დაიწყეს იერიშები. რუსის ჯარი თავგადადებით იბრძოდა. სასტიკი იერიშები იყო. მესამე ღამის გათენებისას ჰაი-ჯოუ აიღეს იაპონელებმა. ამ ბრძოლას მაშინ უწოდეს უდიდესი ბრძოლა ისტორიაში. რუსის მწერალმა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, რომელიც მაშინ ჩვენთან იყო იქ, მანჯურიაში, მთელ ქვეყანას ამცნო: „გეიკონტაის (ჰაი-ჯოუს) ბრძოლა ქვეყნიერების ისტორიაში უდიდესი ბრძოლა იყოვო!“ ღმერთო ჩემო! ახლა სომხის პატარა ერი, საუკუნოებით ნაწამები და დაფლეთილი, გუშინ მკვდრეთით აღდგენილი ფერფლისა და ნანგრევებისგან, ოთხ დღეს თავგანწირვით ებრძვის ყარსის კედლებთან შემოსეულ დამპყრობელთ! ეს სწორედ „მამაცთა უჭკუობა“ არის! ეს საკვირველი მოვლენა არის და ახსნა იმისი შეიძლება მხოლოდ იმით, თუ რას ნიშნავს გრძნობა სამშობლოს დაცვის სურვილისა, რა არის შიში კერის ამოგდებისა, ოჯახის შეურაცხყოფისა და სხვა ათასი უბედურებისა, რაც სომხის ერს მოელის, თუ ღმერთი გასწყრა და ოსმალომ სომხეთი დაიპყრო.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სომხის ერმა გამოსცადა, თუ რას ნიშნავს დამპყრობელი ძალა საზოგადოდ და კერძოთ ისლამის აღმსარებელთა სასტიკი სისხლიანი ხელი, როცა ის საქრისტიანოში შემოდის ქვეყანა, რომელიც მისმა ბედმა—უბედობამ აზიისა და ევროპის შარაგზაზე დააგდო, მუდამ იჭეჭყებოდა მცირე აზიელთა მოწოლის გამო, მუდამ ეძებდა თავსაფარს და ბოლო საუკუნოებში ხომ [illegible] ხიზნობისა და სიარულის ისტორია შექნა მან; ჩვენს ქვეყანაში, ინდოეთში, ევროპაში, თვით ამერიკაში, სად გინდა რომ არ შეხვდებით თქვენ სომხეთის შვილს, იმათ შთამომავალს, ვინც გამოექცა მონობას, შეურაცხყოფას, დამცირებას! მთელი ახალშენი, მთელი თემები თუ უბნები შეუქმნიათ ამათ და აღსანიშნავი და სანაქებოა, რომ მესამე, მეოთხე და მეათე მოდგმასაც არ ავიწყდება ჰაისტანში მკვნესარი «მცირე ძმა!». შორს გახიზნულნი, ისინი მუდამ ცდილობდენ და ცდილობენ ახლაც, მუდამ თავს ევლებიან სომხეთის ბედ-უბედობას, და რაჯად იდვნენ და დგანან, თუ როდის ამოანათებს სომხეთის აღდგენის დღე, როდის იკიანთებს იმისი ვარსკლავი! მრავალი მსხვერპლი შეიწირა ამ ბრძოლამ. სომხეთის ერი ხორციელად ამოიხოცა. ოდესღაც დიდი ერი, მოწყობილი ქვეყანა, დღეს დაპატარავებულია! და ამ პატარასაც უპირობს მოსპობას სამშობლოსგან აყრილი ყარა-ბექირები და მუსტაფები. ეს საფრთხე ახლა მით უფრო საშიში შეიქმნა, რომ მსოფლიო ომის მიზეზით სომხეთი დღეს დასუსტებულია, ეს ერი. აზერბაიჯანის მხრით მას წითელი კალია და თარაქამა აწვება. გაჭირვებულ მდგომარეობაშია დღეს სომხეთის ერი

არც ქართლოსის ძენი არიან დალხინებაში: იმ დღიდან ამ დღემდე ერთი ვერ მოგვისვენია; შინაური და გარეშე მტრები არც ჩვენ გვასვენებენ; დანაშაულობანი ჩვენი იგივე არის, რაც ჩვენი მეზობლისა: ცოტანი ვართ, თავისუფლება გვინდა, ევროპის კულტურას გვინდა ვეზიაროთ, ჩვენი თავის გამკითხველნი გვინდა თითონვე ვიყოთ; ეს „მიზეზები“ კი ყოველთვის საკმაო იყო და დღესაც საკმაო არის, რომ ვინმემ ხელის წამოკვრა და დაჩაგვრა

კუთხეებში ბადის გადაჭრილას, მოინდომებენ ასეთ მხარეებში ამყოლდამყოლთა გაჩენას, რაც საბოლოოდ მათ დასჭირდებათ საქართველოსთან ბრძოლის დროს, ბათომში და მის ოლქში ყველაზე უფრო საშიში არიან ეს ემისრები და აგენტები.

აქ საქართველოს ყველა მტერი შეერთდება ერთი ბლოკში რესპუბლიკის სამტროდ, საქართველოს ზურგში გასატეხად.

მტრებმა უწყის, რომ ბათომის ოლქი საქართველოს სასიცოცხლო ხერხემალია, უბათუმოდ საქართველო ცოცხალ გვამად გადიქცევოდა და ამიტომ მოაშურებენ აქეთ, ამის გამო დაიწყებენ აქ ეშმაკეულ მახინაციებს და ჯოჯოხეთურ მახეების დაგებას.

ეს შეცნობილი უნდა იყოს მთელ საქართველოსთვის და ამის დასაპირდაპირებლად უკვე შედგენილი უნდა გვქონდეს ჩვენ მუშაობის სალი გეგმა

ყველა შემომქმედი ძალები, ყველა მიმართულებანი დღეს ერთობილ ძალად უნდა ჩამოისხან.

უნდა შესწყდეს თემური კინკლაობა, თავი ვანებოთ წვრილმან ანგარიშების სწორებას და ხალხს ველაპარაკოთ საერთო ენით, გასაგებ ენით, ხალხში ვებრძოლოთ მერყეობას, ხალხში ვეომოთ მტრებისა და პროვოკატორების ტრიალს.

ყოველივე ცალკე გამოსვლა ან უბრალო პროპაგანდა ამ ჟამად საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ვინც აქ მუშაობს და მუშაობაში თავისუფლებას გრძნობს მას მრწამსიზრახვა ერთი უნდა ქონდეს: საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის სიმტკიცე ბათომსა და მის ოლქში.

ერის წინაშე დანაშაულად ჩაითვლება ვინც ამ ხანად ჯგუფურ ვნების გაღვივებას შეუდგება.

ჩვენ ყველას ვეძახით ერთ სწორ გზისკენ საქართველოს მთლიანობის და თავისუფლების დაცვისთვის ბრძოლისკენ.

ვინც ამ გზას უარყოფს ის საქართველოს დემოკრატიის და მის დემოკრატიულ რესპუბლიკის მტერია.

ი. დიდიძე.

საქართველოს რესპუბლიკის საკითხი ერთა ლიგაში.

სექტემბრის 20-ს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ერთა ლიგის საბჭოს მდივნისგან წერილი, რომლითაც იგი იტყობინებოდა რომ 15 ნოემბრისათვის ჟენევაში დანიშნულია პირველი საზოგადო კრება ერთა ლიგის წევრებისა და ამ კრებაზე იქნება აღძრული და გარჩეული საქართველოს რესპუბლიკის ლიგის წევრად მიღების საკითხი. შესაძლოა, ხწერდა საბჭოს მდივანი კრებამ მოისურვოს თქვენი საკითხის შესახებ სიტყვიერი განმარტების მოსმენა, ამისათვის საჭიროა დანიშნოთ თქვენი წარმომადგენელიო.

მთავრობამ ასეთ წარმომადგენლად დანიშნა ამ ჟამად ევროპაში მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, რომელსაც იმ დღესვე 20 სექტემბერს ეცნობა დეპეშით საქართველოს რესპ. წარმ. დანიშვნა ერთა ლიგაში და საჭირო მანდატიც გაეგზავნა, ამასთან ერთად დეპეშით და ცალკე წერილით ეუწყა ამის შესახებ ლიგის საბჭოს მდივანს.

ყველა საჭირო მასალა საქართველოს შესახებ ჟენევის კრებისათვის წარსადგენად ადრე გაეგზავნა ლიგის საბჭოს მდივანს ბ-ნ. დრიუმანს თანახმად მისი მოთხოვნისა.

რადიო.

მოსკოვის ცნობები.

ფრონტზე.

4 ნოემბერი. ყირიმის ფრონზე მკაცრი ბრძოლები გრძელდება. სადგურ სალკოვთან ჩვენ ხელთ ვიგდეთ ათასი ტყვე და სხვა და სხვა იარაღი. მკაცრი ბრძოლის შემდეგ გენიჩესკი ავიღეთ.

,,პრავდას‘‘ წერილი

მეთაურ წერილში პეტროგრადის ,,პრავდა‘‘ სწერს, რომ სულ რაღაც ერთი კვირის წინეთ ყირიმში გაიმარჯვა ვრანგელის მთავრობის მემარჯვენე ფრთამ, რამაც ყირიმი მოკავშირეების უბრალო კოლონიათ, მევახშეების საწყობად აქცია. ეს არის მიზეზი, რომ საფრანგეთის პრესა ასეთის გაფაციცებით ადევნებს თვალყურს უკანასკნელ ამბებს ყირიმის ყეენის ვრანგელის სამფლობელოში, მაგრამ წითელმა ჯარმა დაარღვია ლონდონელ და პარიზელ მირჟევიკების ტკბილი ოცნება. მკაცრი შეტევით თეთრ გვარდიელთა ბანდები იჭყლიტება რკინის სალტეებში. აღებულია პერეკოპი, რომელიც ყირიმის გასაღებია. ფრანგ ოფიცრების წყალობით ყირიმის ზღუდეები საუცხოვოდ არის გამაგრებული. წითელ არმიელების ვალია გაქცეულ თეთრ გვარდიელთა მხრებზე შეჭრით ყირიმელ გველის საბოლოოდ განადგურება, მაშინ განადგურდება ვრანგელი და მტაცებლური ხელშეკრულება რუსეთის ქონების გაყიდვისა მოისპობა.

პროვოკაციის უფსკრული.

მტრები ამუშავდენ, პროვოკაცია გააძლიერეს: ართვინთან ოსმალოს ჯარი მოვიდა, ართვინი ოსმალოს ჯარმა აიღო, ახალციხე საქართველოს მოსწყვიტეს, ქემალ-ფაშა თბილისისკენ მიდის .. აი, ასე რიგად ამღერდენ მტრები, თავის სეზონი ჰგონიათ. საჭიროა ამ გარემოებას, რაც ხელს უწყობს მოქალაქეთ ცხოვრებაში ნერვიულობის შეტანას, უდიდესი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ყოვლად მოუთმენელია ამ დროს პროვოკატორების ასეთ თავისუფლება.

X.

შინაგან საქმეთა მინისტრის ჩამოსვლა.

დღეს სავანგებო კომისართან ბ-ნ ბენია ჩხიკვიშვილთან ერთათ ბათომში ჩამოვა შინაგან და განათლების საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნოე რამიშვილი.

ქრონიკა.

☞ ბათომის და მისი ოლქის საგანგებო კომისარს ბ-ნ ბენია ჩხიკვიშვილს დღეს ბათომში მოელიან.

☞ ოლქის აგრონომი სთხოვს საგანგებო კომისარს შტატ გარეშე დატოვებული ივანტიევი დაკმაყოფილებული იქნეს სალიკვიდაციო ჯილდოთი.

☞ ბათომის სახალხო გვარდიის ოფიცერმა აკაკი რამიშვილმა აღმოაჩინა გადამალული 4 ფუთი მედიკამენტები, წონით 332 კილოგრამი. საგანგებო კომისარის ბრძანებით მედიკამენტები ჩამორთმეულ იქნა და გადაეცა ოლქის საექიმო სანიტარო ინსპექტორს

☞ ბათომის შრომის კომისარის შეკითხვაზე, უნდა მიეცეს თუ არა სალიკვიდაციო ფული იმ მუშებსა და მოსამსახურეთ, რომლებიც დათხოვნილი არიან იმ სადგომებისა, ან საწარმოთა დაწესებულების რეკვიზიციის გამო, რომლებშიაც ისინი სმახურებდნენ, შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ იმ შემთხვევებში, თუ მოსამსახურე დათხოვნილი იქნება არა თავის დანაშაულობისათვის, მაშინ დათხოვნილს უფლება აქვს სალიკვიდაციო ჯილდო მოითხოვოს.

☞ 16 ნოემბერს თეატრ ,,პელმელში‘‘ გაიმართება წარმოდგენა კაფე-შანტანების დაკეტის გამო უადგილოდ დარჩენილ მსახიობთა სასარგებლოდ

☞ ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი სთხოვს ბათომისა და მისი ოლქის საგანგებო კომისარს, გადახდილი იქნას ვალი ნისიათ გაგზავნილ დეპეშებისა, რომელიც 24.036 მანეთს უდრის.

☞ ოლქის კომისარი თხოვს საგანგებო კომისარს მიეცეს მას ათი ათასი მანეთი ოლქის მილიციონერების ოსმან ჯაბუსერიძის და ახმედ დელი მემიშ-ოღლის დასაჯილდოვებლათ ყაჩაღებთან ბრძოლაში გამოჩენილ ვაჟკაცობისათვის.

☞ 28 ოქტომბერს სოფ. აჭარის წყალში გასტეხეს სულეიმან კახიძის სავაჭრო და წაიღეს 200.000 მანეთის სხვა და სხვა საქონელი. ქვემო-აჭარის რაიონის უფროსის თანაშემწემ ბოროტმოქმედების კვალს მიაგნო. საქონელი აღმოჩენილი იქნა და პატრონს დაუბრუნდა.

☞ ადმინისტრაციის უფროსმა ბ ნმა ვლ. სულაქველიძემ მოწერილობა გაუგზავნა მილიციის უფროსს— მოახდინოს სასტიკი გამოძიება მესამე უბნის კომისარის თანაშემწეს მიერ ქ-ნ კომახიძის შეურაცყოფის შესახებ და შედეგი აცნობოს მას.

☞ ბინის დამქირავებელთა კავშირი სთხოვს ბათომის პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატს მიეცეს მას მუშათა სასახლეში ერთი ოთახი, ვინაიდან ქალაქის გამგეობის მიერ კავშირის ბინაზე ფასის გადიდება ძლიერ მძიმე მდგომარეობაში აყენებს კავშირს.

ვეჭვობთ, რომ ბინის დამქირავებელთა კავშირს ბინის ფასის გადახდა უჭირდეს.

☞ წარსული დღის განმავლობაში ქალაქში შავი ჭირით ავადმყოფობის შემთხვევა არ ყოფილა. სანიტარული განყოფილების ცნობით დღემდე ყოფილა სულ 86 შემთხვევა შავი ჭირით ავადმყოფობისა.

პორტი.

☞ ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა შემდეგი გემები:

— ხუთ ნოემბერს—სუხუმიდან— ,,ამირანი‘‘, რომელიც 6 ნოემბერს სუხუმში დაბრუნდება, გაივლის ფოთში, იღებს მგზავრებს და ბარგს.

— 4 ნოემბერს—გემი ,,ჭოროხი, სუხუმიდან, მოიტანა სხვა და სხვა ფარფლეულობა.

— 3 ნოემბერს:—ფოთიდან მოტორი ,,ქუთა-სი‘‘, ჩამოიტანა სამასი ფუთი თაფლი; —მოტორი ,,ლებედ‘‘, ქერჩიდან, ჩამოიტანა მარილი;

— მოვიდა ამერიკელების ნალმოსანი № 212.

— 4 ნოემბერს ქერჩიდან მოვიდა მოტორი ,,ალექსანდრე‘‘, ჩამოიტანა მარილი.

— 8 ნოემბერს მოელიან გემ ,,ფრანც ფერდინანდ‘‘-ს, რომელიც ცხრა ნოემბერს უკანვე დაბრუნდება.

— ნოემბრის შუა რიცხვებში მოელიან საზ. ,,კავკასია და მერკურის‘‘ გემს ,,ანტიგონას‘‘, სხვა და სხვა საქონელით.

უკანასკნელი ცნობები

გაფიცვის დამარცხება ინგლისში.

ბოლშევიკები იტყობინებიან, რომ ინგლისში გაფიცვა სრულიად დამარცხდა, მაღაროს მუშებმა დაადგინეს მუშაობის განახლება.

ყირიმის ფრონტზე.

— ყირიმის ფრონტზე ბოლშევიკები იმარჯვებენ, აიღეს გენიჩესკი.

ინგლისი და გერმანია.

სარწმუნოდ მიღებულ ცნობებით ოფიციალურ ინგლისს გადაუწყვეტია ყოველგვარ კონტაქტში შევიდეს გერმანიასთან, დაუახლოვდეს ამ სახელმწიფოს და აგრეთვე შეყვანილ იქმნას გერმანია ხალხთა ლიგაში.

ქემალის ზრახვები.

კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულები იუწყებიან, რომ მუსტაფა-ქემალ-ფაშას სომხეთის ფრონტზე დასახულ მიზნებს გარდა, აზრათ აქვს ბაქოს აღება და იქიდან ბოლშევიკების განდევნაო.

ტრაპეზუნდის ცნობები.

— ქემალისტებს განზრახვა აქვთ რითაც არ უნდა დაუჯდეთ გამარჯვებით დამთავრონ ოპერაციები სომხეთის წინააღმდეგ. ასეთი გადაწყვეტილება ქემალისტებისა უფრო იმით აიხსნება, რომ სხვა მიმართულებებით მათ ჯერ ვერაფერს მიაღწიეს გადამწყვეტ მნიშვნელობის, და სცდილობენ სომხეთში გამარჯვებით საერთო გამაგრებას.

— ტრაპიზონის ბერძნები ამბობენ, რომ ქემალს რამდენიმე ქართველი ოფიცერი ყავს დატყვევებული, რომელიც მას სხვა და სხვა ადგილებში დაუჭერია, როცა ისინი სამშობლოში ბრუნდებოდენო.

— ქემალ ფაშამ აკრძალა სამხედრო ტერიტორიაზე ბერძნულ გაზეთების გავრცელება.

— ქემალისტების მომხრეები ამბობენ, რომ ბათომის ოლქთან მუდმივი კავშირი აქვს ქემალის ჯარს და სომხეთთან ბრძოლის დამთავრების შემდეგ მან უნდა გამოარკვიოს როგორი უნდა იქმნას დამოკიდებულება ამ ოლქთან მომავალშიო.

— ოსმალებს გადაწყვეტილი აქვთ სომხეთის სრული დამორჩილება. ისინი ამბობენ, სომხეთის გადალახვით ჩვენ დიდ ძალ საომარ მასალას მივიღებთ ბოლშევიკებისგანო.

— ტრაპიზონში ხმები გავრცელდა, რომ ამ მოკლე ხანში ვრანგელის ესკადრა ესვრის ანატოლიის სანაპიროებს.

სხვა და სხვა ამბები.

კომუნისტების შეთქმულება.

ბავარიის მთავრობამ აღმოაჩინა კომუნისტების შეთქმულება. მიუნხენში ამის გამო ოცამდე კომუნისტი დაატუსაღეს.

კრუპის ქარხნები.

კრუპის ქარხნებში ამ ჟამად ვაგონებსა და ორთქმავლებს აკეთებენ ჯერ ხანად გააკეთეს ორასი ვაგონი, 500 ორთქმავალი შეაკეთეს.

ავსტრიაში.

ვენის ადმინისტრაციამ დაატუსაღა ბოლშევიკების ორი აგენტი, რომელთაც აღმოაჩნდა სხვა და სხვა საბუთები და ბოლშევიკების ,,პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტ-კულტის“ ბროშურები. ავსტრიის მთავრობამ მიიღო ზომები. საზღვრებზე თვალყურის დევნის გასაძლიერებლათ.

საფრანგეთის პრესა ბოლშევიკების შესახებ.

საფრანგეთის ბურჟუაზიული და კონსერვატორული პრესა მოითხოვს გენ. ვრანგელის დახმარებას და მოუწოდებს ყველა მოკავშირეებს მიიღონ მონაწილეობა ბოლშევიკებთან ბრძოლაში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ სანამ ვრანგელს არ გადაუხვევია დასახული გზიდან, საფრანგეთი მოვალეა დაეხმაროს მას.

ქართველთა ეროვნული საბჭო პოლონეთში.

ვარშავაში მოეწყო ქართველთა ეროვნული საბჭო კურულაშვილის თავმჯდომარეობით. საბჭოს დასახული აქვს მიზნათ გაჭირვებაში მყოფ ქართველთა დახმარება და მსურველთათვის სამშობლოში დაბრუნების ხელის შეწყობა.

„კურიერ ვარშავსკი“ იუწყება, რომ საბჭოს განზრახვა აქვს ხელი შეუწყოს საქართველოს და პოლონეთს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. საბჭოს წევრებს აზრათ აქვთ გამოსცენ გაზეთი ქართულ და პოლონურ ენაზე. ვარშავაში უკვე გაიხსნა ქართულ პოლონური კლუბი, საზოგადოებრივ წრეებში გამოსთქვამენ სურვილს ქართულ პოლონურ ბანკის დაარსების შესახებ. პოლონეთის პრესა სიმპატიით იხსენიებს საქართველოს და თვალყურს ადევნებს საქართველოს ამბებს.

ბოლშევიკების წყალქვეშა ნავები ბალტიის ზღვაში.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ბალტიის ზღვაში გამოჩნდენ ბოლშევიკების წყალქვეშა ნავები ბალტიის ზღვაში მყოფ ამერიკული ესკადრის ადმირალმა სათანადო ინსტრუქციები მისცა ფლოტს ამას გამო.

სერბიის ფინანსიური მდგომარეობა.

კონსტანტინოპოლი, 25 ოქტ. ბელგრადიდან იტყობინებიან: 1919—1920 წ. დეფიციტი უდრის 2 მილიარდ დინარს. 1920—21 წლის გასავალი უნდა იქნეს 3,999,356,543 დინარი, რომლისგანაც 1,120,840 ათასი დაიხარჯა ჯარის საჭიროებისათვის.

საბერძნეთი და ოსმალეთი.

ბათომი, 31 ოქტ. გაზეთი „ელეფთეროს პონტოს“ სწერს: უკანასკნელ დროს დადის ხმები, ვითომ ოსმალეთს უნდა დაუახლოვდეს საბერძნეთს.

კონსტანტინოპოლის გაზეთები იტყობინებიან, რომ დიდ ვეზირს ქონდა ბევრ ჯერ საუბარი ამის შესახებ კონსტანტინოპოლის ბერძნების წარმომადგენლებთან. მტკიცდება ცნობა იმის შესახებ, სულთანს ძალიან გაახარებს ვენიზელოსის კონსტანტინოპოლში მოსვლა. ოსმალეთის მთავრობა დადებითად უყურებს ოსმალეთ-საბერძნეთის დაახლოვების საკითხს, რომელსაც მხარს უჭერს აგრეთვე პრესის ერთი ნაწილიც.

მთავრობის პარტიას ურჩევნია ასე საკითხის გადაჭრა ანატოლიის შესახებაც.

შეთქმულობა ვენიზელოსის წინააღმდეგ.

კონსტანტინოპოლი, 25 ოქტ. ვენიზელოსზე თავდამსხმელთა პროცესი დაიწყო 12 ოქტომბერს. ბრალდებულების რიცხვში არის პრინცი ანდრეი, შტრეიტი და 16 კაცი კონსტანტინეს მომხრეები.

საბერძნეთში.

ლონდონი, 2 ნოემბერი. 7 ნოემბრისათვის დანიშნული საბერძნეთის პარლამენტის არჩევნები გადაიდო 14 ნოემბრისათვის. კაროლ ალექსანდრეს დასაფლავება მოხდა 28 ოქტომბერს, რასაც დაესწრო მრავალი ხალხი. საფრანგეთის ადმირალმა დიუმენილმა საფრანგეთის ფლოტის სახელით ძვირფასი გვირგვინი დასდო კუბოზე. ასევე მიიქცა მილიერანის წარმომადგენელი—საფრანგეთის ელჩი. დასაფლავების პროცესიაში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის მეზღვაურთა რაზმმა.

სავაჭრო სახლი
ძმ. სესიაშვილები და ამხ.
შერემეტევის ქ. № 74.

კავკასიური
ნატურალური კონიაკი
ვაჭრობა ბითუმათ, ბოჭკებით და ბოთლობით.
ყურის ღვინო
„რეკორდი“
საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით
ყურძნის არაყი.
ხილის არაყი („ჭაჭა“)
ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მიელია.

უცხოეთი.

გერმანია.

გერმანიის დეფიციტი.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“ გამოანგარიშებით გერმანიის ბიუჯეტის დეფიციტი უდრის 67 მილიარდ მარკას. დეფიციტი გამოწვეულია საზავო პირობების გამო. სხვა არა-ჩვეულებრივი გერმანიის ხარჯები უდრის 30 მილიარდ მარკას. მხოლოდ მოკავშირეთა ჯარების შენახვა მდ. რეინზე გერმანიას უჯდება 15 მილიონი მარკა. მოკავშირეთა ჯარებისათვის ბინის აშენება დაუჯდება გერმანიას 505 მილიონი მარკა. გერმანიის დანგრეულ კოლონიების აღდგენა დაჯდება 255 მილიონი მარკა. გერმანელ მცხოვრებლების ელზას ლოთრინიდან და პოლონეთიდან გადმოყვანა დაჯდება 171 მილიონი მარკა. სპას კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად განიარაღება 200 მილ. მარკა, ზღვების გაწმენდა ნაღმებისაგან 241 მილ. მარკა. საზღვარგარეთ მცხოვრებ გერმანელებისათვის მისაცემი ფული ჩამორთმეულ ქონების ღირებულების ასანაზღაურებლად ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

ეკონომიური მდგომარეობა გერმანიაში

ყოფილი მინისტრი გოტხეირი უარყოფს გაზეთ ,,ბერლინერ ტაგებლატ‘‘-ში საფრანგეთის ცნობებს გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობის სასურველ ნიადაგზე დგომას. გოტხეირი უთითებს იმაზე, რომ ნახშირის უქონლობის გამო მრეწველობამ გერმანიაში ძალიან დაიწია. რკინის წარმოებამ 20 მილიონ ტონიდან დაიწია 6 მილიონამდის. საქსოვ მრეწველობაში მუშაობს მხოლოდ დაზგების მეექვსედი, რაც ძალიან ადიდებს წარმოებისათვის გასავალს. 600 ათასი გერმანელი მუშა უმუშევრათ არის 4 მილიონი მუშა-მოსამსახურეები მუშაობენ მხოლოდ ორ ან სამ დღეს კვირაში. გოტხეირი დაასკვნის: გერმანიას სურს რათა მთელი ევროპის ნახშირი განაწილდეს საერთაშორისო მისიის საშვალებით რომელშიაც იქნებიან აგრეთვე ნეიტრალურ ქვეყნების წარმომადგენლები.

სოც დემ. პარტ. უმრავლესობის შემადგენლობა.

,,ფორვერტსი‘‘ აქვეყნებს პარტიის გამგეობის მიერ კასელის პარტიულ ყრილობაზე წარმოდგენილ ცნობას პარტიის შემადგენლობის შესახებ. 1920 წელს პარტიას შემატებია მრავალი ახალი წევრი, თუმცა შედარებით უფრო ნაკლები ვიდრე 1919 წ. 1919 წელს პარტიას მიემატა პარტიის შემადგენლობის 35 პროცენტი. 1920 წელს კი—168.000 წევრი, ე. ი. 16 $^{1}/_{2}$ $^{0}/_{0}$. სულ პარტიაში ამ ჟამად არის 1. 180. 208 წევრი. პარტიულ გაზეთების რიცხვი 85-დან 147-დი გაიზარდა.

პარტიის აგრარული პოლიტიკა.

,,ფორვერტსი‘‘ აქვეყნებს პარტიის აგრარული პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. ამ პრინციპების თანახმად უნდა მოხდეს სოციალიზაცია ყველა მამულების და ტყეების, რომლის სოციალიზაცია მოსახერხებელია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საშუალო მეურნეობას. თუ საკუთრება არ მუშავდება, უნდა მოხდეს მისი კონფისკაცია. ამას გარდა უნდა მოხდეს სოციალიზაცია ხე-ტყით და მიწით ვაჭრობისა, შრომის განაყოფიერება, წარმოების სოციალიზაცია და სამეურნეო იარაღების, ნედლი მასალის და დამხმარე საშვალებათა განაწილება.

საფრანგეთი.

საფრანგეთის სინდიკატები ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ორლეანიდან მიღებულ დეპეშების თანახმად, რომელიც გერმანიის გაზეთებში დაიბეჭდა, დადგენილება, რომელიც უარყოფდა ბოლშევიზმს და მესამე ინტერნაციონალში შესვლას, მიღებული იქმნა საფრანგეთის სინდიკატების (პროფესიონალური კავშირების) ყრილობაზე 1478 ხმის უმრავლესობით 602 წინააღმდეგ.

იმავე ცნობებით ყრილობის უმცირესობამ დაადგინა შექმნას განსაკუთრებული კომიტეტი და შევიდეს მესამე ინტერნაციონალში. უმცირესობა იმავ დროს დგას ფრანგული პროფესიონალური მოძრაობის დამოუკიდებლობის პრინციპზე, ი. ი. ანგარიშს უწევს საფრანგეთის პირობებს და წინააღმდეგია მოსკოვის კარნახის ქვეშ მუშაობის,

იტალია.

სტეფანის სააგენტოს ცნობით იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 21 ხმის უმრავლესობით 7 წინააღმდეგ დაადგინა შევიდეს მესამე ინტერნაციონალში, მაგრამ იმავ დროს უარყო მოსკოვის პირობების მეშვიდე მუხლი, რომელიც მოითხოვდა რეფორმისტების პარტიიდან გაძევებას.

საბჭოთა რუსეთი.

დაბადებისა და სიკვდილის რიცხვი რუსეთში.

გაზ. „ლუჩ“, რომელიც პარიზში გამოდის, იუწყება:

თანახმად ოფიციალურ ანგარიშისა, რომელიც გამოაქვეყნა ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა, სიკვდილის რიცხვი რუსეთში, რომელიც 1917 წელს ათასზე 25,4 უდრიდა, 1919 წელს ათასზე 74,9 გაიზარდა.

დაბადებათა რიცხვი 1917 წელს ათასზე უდრიდა 19,4, 1919 წელს კი ათასზე 12-დი დაიწია. რევოლიუციის პირველ წელს დაბადებათა რიცხვი 50 პროცენტით სჭარბობდა სიკვდილის რიცხვს. ბოლშევიკების 3 წლის ბატონობის შემდეგ სიკვდილის რიცხვი 6-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე დაბადების.

გერმანული ჟურნალი „მედიცინიშე ვოხენშრიფტი“ შემდეგ ცნობებს აქვეყნებს: 1914 წ. ათას კაცზე კვდებოდა 22,5 კაცი; 1919 წ. 23,5 კაცი; 1918 წ—43,6 კაცი; 1919 წ.—74,9 კაცი. მაგრამ ეს რიცხვები სინამდვილესთან შედარებით ნაკლები იქნება 25—30 პროც. ჟურნალის აზრით სიკვდილის რიცხვი რუსეთში 10 პროც. უდრის, ე. ი. ათასზე კვდება 100 კაცი.

ბერლინში ომის ყველა საშინელების შემდეგ სიკვდილის რიცხვი უდრის ათასზე 13,6; ლონდონში 9,5; სტოკჰოლმში 10; ამსტერდამში 8,4—ათასზე.

პარალელურათ ამასთან პეტროგრადში დიდათ შემცირდა დაბადებათა რიცხვი 1911 წელ ათას მცხოვრებზე იბადებოდა 20,4 ბავშვი, 1919 წელს კი 12.

სარედაქციო კოლეგია.

ექიმი ი. ლ. პაპავა
ღებულობს შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული სუსუნატი) და სიფილისით ავადმყოფთ (შეშხაპუნება 606 და 914).
ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე.
აზიზიეს მოედანი, სახალხო გვარდიის შტაბის გვერდით.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. ჰ. მამაევსკისა, მიხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.